ქვეყანა, ხალხი აღიდებს გმირს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი № 88 (12002) | კვირა, 16 აპრილი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

გულითადი შეხვედრა ვნუკოვოს აეროდროვზე.

ფოტო ს. სმირნოვისა და კ. ტოლსტიკოვისა.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საჭიროდ ცნეს სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ მეცნიერები, მუშები, ტექნიკოსები, ინჟინრები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კოსმოსური თანამგზავრი ხომალდის „აღმოსავლეთის“ შექმნაში და უზრუნველყვეს საბჭოთა ადამიანს მსოფლიოში პირველი წარმატებით გაფრენა კოსმოსში.

შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს დაევალათ დასაჯილდოებლად წარმოადგინონ კოსმოსური თანამგზავრი ხომალდის „აღმოსავლეთის“ შექმნისა და გაფრენის უზრუნველყოფის მონაწილეთა პერსონალური შემადგენლობა.

ვამაყობთ ჩვენი აღზრდილით

სარატოვი, (საკდესი). არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმეწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების სარატოვის აეროკლუბის აღზრდილს, მფრინავ იური გაგარინს.

ძვირფასო იური ალექსის ძეო! ჩვენ, სარატოვის აეროკლუბის კურსანტები, მფრინავთა, ტექნიკოსთა შემადგენლობა, და მასწავლებლები აღტაცებული ვართ თქვენი უმაგალითო გმირობით, რომელმაც ასახელა ჩვენი საბჭოთა სამშობლო, საბჭოთა მეცნიერება და საავიაციო ტექნიკა კოსმოსურ სივრცეში გაფრენით“.

წერილის დასასრულს ნათქვამია, რომ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმეწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების სარატოვის აეროკლუბი გულმოდგინედ იბრძოლებს, რომ მას უწოდონ კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელი.

დარბაზობა კრემლის დიდ სასახლეში

მოსკოვი, 14 აპრილი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დღეს კრემლის დიდ სასახლეში დარბაზობა გამართეს იმ მეცნიერთა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მუშათა დიდი გმირობის აღსანიშნავად, რომლებმაც უზრუნველყვეს მსოფლიოში პირველი წარმატებითი გაფრენა ადამიანისა კოსმოსურ სივრცეში, აგრეთვე მსოფლიოს პირველი კოსმონავტის იური ალექსის-ძე გაგარინის პატივსაცემად.

კრემლის დიდი სასახლე ბევრი დაუვიწყარი შეხვედრის მოწმე ყოფილა. მაგრამ ასეთი შეხვედრა აქ ჯერ არ მომხდარა.

გიორგის დარბაზის განიერ საპარადო კიბეზე სტუმრებს შეხვდნენ თეთრი კოსტიუმებით გამოწყობილი ქალიშვილები და ჭაბუკები. მათ ხელში აქვთ ცოცხალი ყვავილების დიდი თაიგულები.

გიორგის დარბაზში მიდიან ისინი, ვინც თავიანთი გონებითა და ხელით შექმნა კოსმოსური თანამგზავრი ხომალდი „აღმოსავლეთი“, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, საბჭოთა კავშირის მარშლები, ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მშრომელთა წარმომადგენლები, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დარბაზობის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე კრემლის დიდ სასახლეში შემოდიან **ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი,** გმირი კოსმონავტი **იური ალექსის-ძე გაგარინი,** მისი ცოლი **ვალენტინა ივანეს ასული,** დედა, მამა.

გაისმის ფანფარების ხმა. ნაკრები გუნდი და სიმფონიური ორკესტრი ასრულებენ ფინალურ საგუნდო სიმღერას „დიდი“ ოპერა „ივან სუსანინიდან“. ჯერ კიდევ არ დამთავრებულიყო მ. გლინკას დიდებული მუსიკა, რომ კრემლის დიდ სასახლეში გაისმა კომპოზიტორ ს. ტულიკოვის სიმღერა „შორეული პლანეტებისაკენ“.

ნ. ს. ხრუშჩოვი, ი. ა. გაგარინი კრემლის დიდი სასახლის გიორგის დარბაზში შედიან.

გიორგის დარბაზში ამხანაგების **ლ. ი. ბრეჟნევის, ნ. გ. იგნატოვის, ფ. რ. კოზლოვის, ა. ნ. კოსიგინის, ო. ვ. კუუსინენის, ა. ი. მიკოიანის, ნ. ა. მუხიტდინოვის, ნ. ვ. პოდგორნის, დ. ს. პელშეს, ე. ა. ფურცევას, ნ. ს. ხრუშჩოვის, ნ. მ. შვერნიკის, პ. ნ. პოსპელოვის, დ. ს. კორონჩენკოს, ი. ე. კალნბერზინის, ა. ა. კირილენკოს, ა. ტ. მაზუროვის, ვ. ა. მეტალნიკოვის, ვ. ვ. ბრიშინის, ბ. ი. ეორონოვის,** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის **კ. ე. ვოროშილოვის,** გმირი მფრინავის **ი. ა. გაგარინის,** მისი მეუღლისა და დედ-მამის გამოჩენას შეკრებილნი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

სტუმრებს შორის იყვნენ მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ი. ცედენბალი,** ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციათა მეთაურები — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **გუ-ჯო-სინი,** საგარეო ვაჭრობის მინისტრი **ე ძი-ჯუანი,** ლიბიის პარლამენტის დელეგაცია სენატორ **ალმედ რაფიკ მაჰდავის** მეთაურობით.

დარბაზობაზე იყვნენ საბჭოთა კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, ბევრი საბჭოთა და უცხოელი კორესპონდენტი, სამღვდელოების წარმომადგენლები.

ხტუმრები გარს ეხვევიან **ნ. ს. ხრუშჩოვსა** და **ი. ა. გაგარინს.** ყველა ცდილობს მიულოცოს მსოფლიოში პირველ კოსმონავტს — საბჭოთა კავშირის მოქალაქეს.

კითხულობენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებს იმის შესახებ, რომ იური ალექსის-ძე გაგარინს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის წოდება.

სასახლის გიორგის დარბაზში გაისმის შეძახილები „ვაშა!“ და მქუხარე ტაში. ორკესტრი ასრულებს საზეიმო მარშს.

ლ. ი. ბრეჟნევმა გადასცა **ი. ა. გაგარინს** ლენინის ორდენი და საბჭოთა კავშირის გმირის ოქროს medალი და აღნიშნა, რომ მას კმაყოფილებას ანიჭებს ასეთი სასიამოვნო დავალების შესრულება. **ლ. ი. ბრეჟნევი** აღნიშნავს, რომ იური გაგარინმა არაჩვეულებრივად დიდი გმირობა ჩაიდინა. ეს გმირობა იმ ნათელი მომავლის სიმბოლოა, რაც საბჭოთა ხალხისათვის მოაქვს კომუნიზმს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით ამხ. **ბრეჟნევი** გულითადად ულოცავს **ი. ა. გაგარინს** მთავრობის მაღალ ჯილდოს.

მან მსოფლიოში პირველი კოსმონავტი მფრინავის მუნდირს მიამაგრა ლენინის ორდენი და გმირის ოქროს ვარსკვლავ-ორკესტრი ასრულებს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მამაშვილურად ეხვევა და ჰკოცნის მფრინავ კოსმონავტს. დარბაზში კვლავ ისმის ხანგრძლივი ტაში.

უსაზღვროდ მადლობელი ვარ იმ უურადღებისათვის, რომლითაც მეპყრობიან ჩვენი პარტია, მთავრობა, მთელი საბჭოთა ხალხი, ამბობს საპასუხო სიტყვაში **ი. ა. გაგარინი.** ვამაყობ ამ გმირობით, რომელიც საბჭოთა ხალხის სადიდებლად ჩავიდინე.

გმირი კოსმონავტი მადლობას უძღვნის პარტიასა და ხალხს და აცხადებს, რომ მზად არის ყოველი დავალება შეასრულოს, „ვემსახურები საბჭოთა კავშირსს“ ამთავრებს თავის სიტყვას გაგარინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ყველა დამსწრის სახელით ჯაგრად ეხვევა და ჰკოცნის გაგარინს. გმირთან მიდიან **ნ. ს. ხრუშჩოვი, ფ. რ. კოზლოვი, კ. ე. ვოროშილოვი, მარშალი რ. ი. მალინოვსკი.** ამხანაგ **ნ. ს. ხრუშჩოვი** კვლავ გულითადად ულოცავს **იური გაგარინს,** რომელმაც საგმირო საქმე ჩაიდინა.

ნ. ს. ხრუშჩოვმა, ლ. ი. ბრეჟნევმა, ფ. რ. კოზლოვმა, კ. ე. ვოროშილოვმა, რ. ი. მალინოვსკიმ სურათი გადაიღეს **გმირ კოსმონავტთან,** მის ცოლსა, დედასა და მამასთან, და-ძმებთან ერთად.

დამსწრეთ სიტყვით მიმართა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა. მან თქვა, რომ საბჭოთა ხალხი ამაყობს იური გაგარინის უმაგალითო გმირობით. ეს გმირობა ცხადყოფს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის სიდიადეს, აუვავებას. ამხანაგი **ნ. ს. ხრუშჩოვი** აცხადებს, რომ ეს გმირობა არ იწვევს ერთი ქვეყნის გაბატონებას რომელიმე სხვა ქვეყანაზე. მისი მიზანია მშვიდობა. მხოლოდ საყოველთაო და სრული განიარაღების განხორციელებით შეიძლება უზრუნველვყოთ მშვიდობა მთელ მსოფლიოში, ამბობს საბჭოთა მთავრობის მეთაური და დასძენს, რომ სსრ კავშირი მოხარული იქნება ხელი მოაწეროს შეთანხმებას განიარაღების შესახებ და ბოლო მოეღოს გაჭიანურებულ შეიარაღებას.

სსრ კავშირის მთავრობის მეთაური გამოთქვამს რწმენას, რომ შორს არ არის ის დრო, როცა განხორციელდება საპლანეტათშორისო მიმოსვლა. მან წარმოთქვა ადამიანის გონების, გენიის, პირველი კოსმონავტი მფრინავის იური გაგარინის, იმ მეცნიერთა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა, მუშათა სადღეგრძელო, რომლებმაც ხელი შეუწყეს კოსმოსური ხომალდის გაშვებას და მის მშვიდობიან დაბრუნებას დედამიწაზე ადამიანთან ერთად.

დიპლომატიური კორპუსის დუაიენმა შვეიცარიის ელჩმა რალფ სულმანმა გულწრფელად მიულოცა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს **ნ. ს. ხრუშჩოვს** და მთელ საბჭოთა ხალხს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის გრანდიოზული მიღწევა. ის დღე, როცა განხორციელდა მსოფლიოში პირველი გაფრენა ადამიანისა კოსმოსში, ისტორიული დღე იყო მთელი კაცობრობისათვის. მაიორ გაგარინის სახელი სამუდამოდ იქნება დაკავშირებული იმასთან, რომ კაცობრობამ გაკვალა საპლანეტათშორისო სივრცის, სხვა სამყაროების გზა, თქვა მან. პირველი გაფრენა ვოსმოსში, ხაზგასმით აღნიშნა შვეიცარის ელჩმა, მოწმობს, რომ დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის განვითარებაში.

ი. ა. გაგარინს, კოსმოსური თანამგზავრი ხომალდის „აღმოსავლეთის“ შემქმნელებს მიესალმნენ: მოსკოვის მუშათა სახელით — ქარხანა „ვრასნი პროლეტარის“ ხარატი **ნ. მ. კუზმინი,** მოსკოვის ოლქის კოლმეურნეთა სახელით — ვოსკრესენსკის რაიონის სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი **ვ. ფ. ლიუკშინი,** დედაქალაქის ახალგაზრდობის სახელით — ფრუნზეს სახელობის ფაბრიკის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი **ვალენტინა პეტროშენკო,** ინტელიგენციის სახელით — მწერალი ლეონიდ სობოლევი.

ავიაციის მთავარი მარშალი **კ. ა. ვერშინინი** მიესალმა გმირ კოსმონავტს და თქვა: ვამაყობთ ჩვენი სახელოვანი მეომრით, რომელმაც დიდი ისტორიული ამოცანა შეასრულა.

ყველა სიტყვის დროს გაისმოდა მთელი დარბაზის მქუხარე ოვაცია. გამარჯვებას უსურვებდნენ პირველ გმირ კოსმონავტს **ი. ა. გაგარინს,** საბჭოთა ხალხს, კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას.

კვლავ წარმოთქვა სიტყვა **ნ. ს. ხრუშჩოვმა.** იგი აცხადებს, რომ იური გაგარინის — მსოფლიოში პირველი საბჭოთა კოსმონავტი მფრინავის სახელი ყოველთვის პირველი იქნება საუკუნეთა მანძილზე.

ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობს, რომ ეს პირველი კოსმოსური გაფრენა მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა.

საბჭოთა მთავრობის მეთაური აცხადებს, რომ კოსმოსური თანამგზავრი ხომალდის „აღმოსავლეთის“ შექმნის ყველა მონაწილე წარდგენილ იქნება მთავრობის უმაღლესი ჯილდოების მისალებად, მან წარმოთქვა თანამგზავრი ხომალდის შემქმნელთა სადღეგრძელო.

დარბაზობის მონაწილეთათვის, რომელმაც განსაკუთრებით გულითად, ძმურ ვითარებაში ჩაიარა, დედაქალაქის ხელოვნების ოსტატთა ძალებით დიდი კონცერტი გაიმართა.

ი. გაგარინის სახელოგისა

ალმა-ათა, (საკდესი). ყაზახეთის მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა გეოგრაფთა კრება, რომელიც მიეძღვნა კოსმოსში ადამიანის წარმატებით შეჭრას. პირველი კოსმონავტის პატივსაცემად გადაწყდა იური გაგარინის სახელი ეწოდოს უსახელო ყინვარს, რომელიც მდებარეობს 4.232 მეტრ სიმაღლეზე (სათავე) — 3.136 (ქვემო წელი) მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან ჯუნგარის ალათაუში მდინარე სარყანდის აუზში.

იური გაგარინის სახელი ეწოდა იმიერალაის ალა-თაუს ერთ-ერთ უსახელო პიკს ჩრდილოეთ ტიან-შანში.

ეს წვეტიანი კლდოვან-ყინულოვანი ძეწერვალი თავს დაჰყურებს მთაგრეხილს ყარგალის ყინვარის სათავეში. მისი სიმაღლე 4.100 მეტრია ზღვის დონიდან.

მსოფლიოს ულოცავს...

მოსკოვი, 14 აპრილი. (საკდესი). კოსმოსური ხომალდით ადამიანის წარმატებით გაშვების გამო კვლავ მოდის მხურვალე მისალმებანი უცხოელი სახელმწიფო მოღვაწეებისაგან.

დეპეშაში სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი თავიანთ აღტაცებას გამოთქვამენ ჩეხოსლოვაკიის-კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი **ანტონინ ნოვოტნი** და ჩეხოსლოვაკიის მთავრობის თავმჯდომარე **ვილიამ შიროკი.** ისინი წერენ, რომ საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის, ყველა საბჭოთა მშრომელის დიდი გამარჯვებით დაიწყო ახალი ეტაპი ადამიანის მიერ კოსმოსის დაპყრობაში, სახელოვანი ფურცელი ჩაიწერა კაცობრიობის ისტორიაში.

გულითადად ულოცავს **ნ. ს. ხრუშჩოვს** გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე **ვალტერ ულბრიხტი.** იმის, რაც კოლუმბმა განახორციელა თოთქმის ხუთასი წლის წინათ, როცა ქვეყნის ახალი ნაწილი აღმოაჩინა, ნათქვამია დეპეშაში, ჩრდილავს ეს გიგანტური მიღწევა, რომელიც მოწმობს მარქსიზმ-ლენინიზმზე დაფუძნებული მეცნიერებისა და ტექნიკის უპირატესობას.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე **კიმ ირ სენი** წერს **ნ. ს. ხრუშჩოვს,** რომ საბჭოთა მეცნიერების ბრწყინვალე ისტორიულმა მიღწევებმა კოსმოსის დაპყრობაში ცხადყო საბჭოთა მეცნიერების დიადი ძალა, სოციალისტური წყობილების შეუდარებელი უპირატესობა.

მხურვალედ მიულოცა კუბელი ხალხის სახელით **ნ. ს. ხრუშჩოვს** კუბის პრემიერ-მინისტრმა **ფიდელ კასტრომ.** დაე საბჭოთა ხალხის ეს გამარჯვება, ხაზგასმით აღნიშნავს იგი, გახდეს მთელი კაცობრიობის გამარჯვება, რომელიც დედამიწის ყველა კუთხის ქალებსა და მამაკაცებს მიიჩნევთ ყველაზე დიდ იმედად თავისუფლების, კეთილდღეობისა და მშვიდობის ბედისათვის.

გულთბილად მიესალმა **ლ. ი. ბრეჟნევს** კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტი **ოსვალდო დორტიკესი.**

დარწმუნებული ვარ, წერს მისალოც დეპეშაში **ლ. ი. ბრეჟნევსა** და **ნ. ს. ხრუშჩოვს** ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტი **სუკარნო,** რომ საბჭოთა ხალხის წარმატებანი, რომლებიც მოპოვებულია ტექნიკის დარგში, მთლიანად იქნება დაყენებული პროგრესისა და ადამიანთა კეთილდღეობის, საერთაშორისო მშვიდობის სამსახურში.

ბირმის კავშირის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გენერალი **ნე ვინი** წერს **ნ. ს. ხრუშჩოვს,** რომ იგი დარწმუნებულია, სსრ კავშირში რომ იმყოფება ამ ისტორიულ მომენტში და საბჭოთა ხალხს შემდგომ წარმატებებს უსურვებს კოსმოსური სივრცის დაპყრობაში. ლიბიის პარლამენტის დელეგაციის მეთაური ამედ რაფიკ მაჰდავი დეპეშაში **ლ. ი. ბრეჟნევს, ნ. ს. ხრუშჩოვსა** და **ბ. ბ. ლობანოვს** მხურვალედ ულოცავს ლიბიელი ხალხის სახელით.

გულითადად მიულოცა **ნ. ს. ხრუშჩოვსა** და **ლ. ი. ბრეჟნევს** ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა **ურჰო კეკონენმა.**

მშვიდობისათვის გამარჯვებას უწოდებს კოსმოსში პირველი ადამიანის გაფრენას არაბთა. გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი **გამალ აბდელ ნასერი.** დეპეშაში **ნ. ს. ხრუშჩოვისადმი** იგი აღნიშნავს: ეს ახალი მიღწევა კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ თავდადებულ ღონისძიებათა მნიშვნელობას, რომლებსაც დიდი საბჭოთა ხალხი ახორციელებს თვითონ ბრძნული ხელმძღვანელობით.

თავის გულწრფელ აღტაცებას გამოთქვამს მისალოც დეპეშაში **ლ. ი. ბრეჟნევისადმი** ეკვადორის პრეზიდენტი **ხ. მ. ველასკო იბარა.**

გულთბილი მისალოცი დეპეშები გამოუგზავნეს **ნ. ს. ხრუშჩოვს** ბრაზილიის შეერთებული შტატების რესპუბლიკის პრეზიდენტმა **ჟანინო კუადროსმა;** განის რესპუბლიკის პრეზიდენტმა დოქტორმა **კვამე ნკრუმამ,** შვეიცარის პრემიერ-მინისტრმა **ტაგე ერლანდერმა.** გმირობა, რომელმაც კაცობრიობა სიამაყით აღავსო, მიულოცა **ლ. ი. ბრეჟნევს** ბოლივიის პრეზიდენტმა **პას ესტენსორომ.**

ბევრი გულითადი მისალმება მიიღო სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიებისაგან. საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს სიამაყის გრძნობას, რომელსაც განიცდის ყველა კომუნისტი და პროგრესის ყველა ადამიანი სოციალიზმის ამ გამარჯვების გამო. ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ეროვნული კომიტეტის დეპეშაში აღნიშნულია, რომ მეცნიერული მიღწევის სიდიადე და სსრ კავშირის წვლილი კაცობრიობის განვითარებაში შეერთებული შტატების მთელი მშვიდობისმოყვარე ხალხის აღტაცებასა და მადლიერ მეფასებას იწვევს.

„საბჭოთა მეცნიერების ეს ტრიუმფი სოციალიზმ-კომუნიზმის ტრიუმფია, რომლითაც ამაყობს ყველა მშვიდობისმოყვარე პროგრესული ადამიანი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაშიც“ — ნათქვამია გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დეპეშაში, რომელაც ხელს აწერს **მაქს რაიმანი.**

გულითადად ულოცავენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და მთელ საბჭოთა ხალხს უმაგალითო გამარჯვებას კოსმოსის დაპყრობაში ფინეთის, იაპონიის, ნორვეგიის, ახალი ზელანდიის კომპარტიების ცენტრალური კომიტეტები, კუბის სახალხო-სოციალისტური პარტიის ეროვნული კომიტეტი, კოლუმბიის, კანადის, ნიდერლანდის კომპარტიები, დანიის, ლუქსემბურგის, მექსიკის, ისლანდიის, ვენესუელის კომპარტიების ცენტრალური კომიტეტები, კვიპროსის მშრომელთა პროგრესული პარტიის გენერალური მდივანი **ეზეკიას პაპაიოანუ** (კუნძული კვიპროსი).

მეცნიერთა მისალმებანი

მოსკოვი, 15 აპრილი. (საკდესი). უამრავი დეპეშა მოსდის ამ დღეებში საზღვარგარეთიდან სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას.

დეპეშაში, რომელიც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ა. ნ. ნესმეიანოვს გამოუგზავნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა. გომო ოომ, კერძოდ, ნათქვამია: „ჩინელ მეცნიერთა სახელით გულწრფელად და მხურვალედ გილოცავთ თქვენ და საბჭოთა მეცნიერებს, ინჟინრებს, მუშებსა და პირველ კოსმონავტ მფრინავს ბატონ ი. გაგარინს... ახალ მიღწევებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ. ამ მიღწევებმა ერთხელ კიდევ დიდი დამაჯერებლობით ცხადყვეს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის წამყვანი ადგილი მსოფლიოში, რაც დიდ როლს ასრულებს მთელი მსოფლიოს მშვიდობის დაცვის კეთილმობილურ საქმეში.

ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დეპეშაში ხაზგასმულია, რომ საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის გრანდიოზული ტრიუმფი მთელი მოწინავე კაცობრიობის გამარჯვებაა. „ჩვენ ყოველთვის დარწმუნებული ვიყავით, — ნათქვამია დეპეშაში, რომ ამ გამარჯვებას მიაღწევდა სოციალიზმისა და კომუნიზმის პირველი ქვეყანა, რომელიც იბრძვის კაცობრიობის ყველაზე კეთილშობილური იდეების განსახორციელებლად“.

მიღებულია აგრეთვე ავღანეთის განათლების მინისტრის დოქტორ პოპოლის, ქაბულის უნივერსიტეტის რექტორის პროფესორ მუჰამედ ასგარის, დგანსკის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორის, პროფესორ კ. კოპეცკის, ინდოლესელი ასტრონომის „ჯოდრელ ბენკის“ ობსერვატორიის დირექტორის ბ. ლოველის, სხვა ქვეყნების მეცნიერთა მოლოცვები.

ი. ა. გაგარინი საორტის დამსახურებული ოსტატი

კაცობრიობის ისტორიაში შესანიშნავი მიღწევისათვის — თანამგზავრ ხომალდ „აღმოსავლეთით“ კოსმოსური გაფრენისათვის, კოსმოსურ სივრცეში პირველი მსოფლიო რეკორდების დამყარებისათვის სსრ კავშირის სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალურმა საბჭომ მაიორ იური ალექსის-ძე გაგარინს მიანიჭა სსრ კავშირის საორტის დამსახურებული ოსტატის საპატიო წოდება.

ზეიმობს საბჭოთა ხალხი

მოსკოვი, 14 აპრილი. (საკდესი). მოსკოვი დღეს მსოფლიოს ყველაზე ბედნიერი ქალაქია. დემონსტრაცია წითელ მოედანზე თითქოს არ დამთავრებულიყოს. საღამოს ათასობით ადამიანი ერთხმად გაიძახოდა: გა-გა-რინ! გა-გა-რინ!

ამ გუნდს დირიჟორობდა ახალგაზრდა მოსკოველი, რომელიც მაღლა ჰყავდა ხალხს ხელში ატაცებული. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იური გაგარინი ამ ყმაწვილისა და ჩვენი ქვეყნის ყველა ყმაწვილის ერთ-ერთი საყვარელი გმირია.

როგორც ყოველთვის, წითელ მოედანზე დაწყებული დღესასწაული გორკის ქუჩით თანდათანობით ერცელება მთელ მოსკოვში. ხალხის ტევა არ არის. კიდით კიდემდე გაისმის სიმღერები. სიმღერა ისევე ბევრია, როგორც ყვავილები, როგორც ღიმილი.

და ამ დღეების ყველაზე პოპულარული სიმღერა გახდა ის, რომელსაც მღეროდა, როცა მიწაზე ეშვებოდა, პირველი კოსმონავტი. „...სამშობლოს ესმის, სამშობლომ იცის...“ — გაისმის მანეულის მოედანზე. ამ სტროფონებს კითხულობს ათასობით შეკრებილის წინაშე მათი ავტორი — პოეტი ევგენი დოლმატოვსკი.

კრასნაია პრესნაში საბჭოდახელოდ მოწყობილ ესტრადაზე კითხულობს კოსმოსის პირველაღმომჩენი ხისადმი მიძღვნილ თავის ლექსს შოფერი ნიკოლოზ მატვეევკო. პოეტი პირს კითხულობს. ორიგინალი დღისით წითელ მოედანზე გადასცა იური გაგარინს.

დედაქალაქის თვითეული ქუჩა მიესალმება გმირს. „პატივი და დიდება კოსმოსის პიონერს იური გაგარინს“ — ეს სიტყვები თეთრად ელავენ წითელ ქსოვილზე, რომელიც გადაშიშლია ცენტრალური ტელეგრაფის მთელ შენობაზე. ადამიანთა ზღვა არ ილევა.

Სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე სტუმრებს ბროლის ჭაღების ჩქრიალით შეხვდნენ შადრევნები. ჩვეულებრივზე უფრო დიდხანს იყო გახსნილი ყველა პავილიონი. ბევრი ხალხი მივიდა მთავარ პავილიონსა და მეცნიერების პავილიონში, სადაც უკვე მოწყობილია სტენდები, მიძღვნილი კოსმოსის დამპყრობისადმი. მოედანზე ხალხთა მეგობრობის შადრევანთან მთელ საღამოს გაისმოდა სიმღერები, ცეკვავდა ახალგაზრდობა.

დიადი გამარჯვება საბჭოთა ხალხისა, რომელმაც მსოფლიოში პირველად გაკაფა გზა კოსმოსისაკენ, ფართოდ იზეიმა სასწაულეს პროლეტარული რაიონის მცხოვრებლებმა. სკკპ რაიონული კომიტეტის შენობასთან აღმართულ ესტრადაზე გამოვიდნენ პოეტები, ლიხაჩოვის სახელობის ქარხნის, „დინამოს“ და სხვა საწარმოთა მომღერლები და მოცეკვავეები.

საღამოს 9 საათზე იგრიალა ისტორიაში პირველმა სალუტმა კოსმოსზე ადამიანის გამარჯვების ალსანიშნავად. ეს გამარჯვება თავიანთი შრომით მოამზადეს მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა, მეცნიერებმა, საბჭოთა ხალხმა ყოველდღიური, შეუმჩნეველი თავდადებული შრომით. ყველა მათ მისცა სალუტი მოსკოვმა ამ საღამოს.

• • •

საარტილერიო სალუტი მიცემულ იქნა მოკავშირე რესპუბლიკების ყველა დედაქალაქში, გმირ ქალაქებში — ლენინგრადში, სტალინგრადში, სევასტოპოლსა და ოდესაში.

• • •

სურათზე: სალუტი კოსმოსის მძლეველთა პატივსაცემად.

ფოტო ი. გრიჩერისა.

საბჭოთა მეცნიერების მსოფლიო მიღწევა

პრეს-კონფერენცია მეცნიერთა სახლში

მოსკოვი, 15 აპრილი. (საკ.ფსი). სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოაწყეს დღეს მეცნიერთა სახლში პრეს-კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა მსოფლიოში პირველი კოსმოსური გაფრენის წარმატებით განხორციელებას, რაც მოახდინა საბჭოთა ადამიანმა თანამგზავრ ხომალდ „აღმოსავლეთით“.

პრეს-კონფერენციაზე მიწვეული იყვნენ საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები, დიპლომატიური კორპუსი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრები, თვალსაჩინო მეცნიერები, მოსკოვის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. სულ ამ ღირსსახსოვარ პრეს-კონფერენციაზე ათასამდე კაცი შეიკრიბა.

მქუხარე ოვაციით შეხვდნენ ჟურნალისტები და პრეს-კონფერენციის სხვა მონაწილენი საბჭოთა ხალხის სახელოვან შვილს, სსრ კავშირის პირველ კოსმონავტ მფრინავს იური ალექსის-ძე გაგარინს.

პრეს-კონფერენცია გიხსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ა. ნ. ნესმეიანოვმა.

ა. ნ. ნესმეიანოვის გამოსვლა

1961 წლის 12 აპრილს ისტორიაში პირველად სსრ კავშირმა დედამიწის თანამგზავრის ორბიტაზე გაიყვანა კოსმოსური ხომალდი „აღმოსავლეთი“, რომელშიც იყო კოსმონავტი მფრინავი იური ალექსის-ძე გაგარინი.

ეს მოხდა დილით, კოსმოსური ხომალდი გავიდა ორბიტაზე, რომლის პერიგეა იყო 175 კილომეტრი და აპოგეა 302 კილომეტრი დედამიწის ზედაპირიდან. დედამიწის ირგვლივ ხომალდის შეტოვლის პერიოდი უდრიდა 89.1 წუთს. ხომალდის წონა კოსმონავტთან ერთად შეადგენდა 4.725 კილოგრამს.

კოსმოსური ხომალდი მოწყობილი იყო ყოველივე იმით, რაც საჭიროა კოსმონავტის უსაშიშრო ფრენისა და დედამიწაზე მშვიდობით დაშვებისათვის. ხომალდის ბევრი სისტემა დუბლირებული იყო. ხომალდში იყო ხელსაწყოები, რომლებიც საშუალებას აძლევდნენ მფრინავს ყოველ წუთს ზუსტად განესაზღვრა თავისი ადგილმდებარეობა ორბიტაზე.

კოსმონავტთან დამყარებული იყო განუწყვეტელი ორმხრივი რადიოკავშირი, როგორც ხომალდის მომზადების დროს სტარტზე, ისე მისი ფრენის დროს.

ბაზგასამით უნდა აღინიშნოს კოსმონავტი მფრინავის იური ალექსის-ძე გაგარინის არაჩვეულებრივი მამაცობა, ამტანობა და სიმტკიცე. ღამით გაფრენის წინ, როგორც ექიმებმა ურჩიეს, იური ალექსის-ძეს მაგრად ეძინა და ადაღვიძეს გაფრენამდე რამდენიმე საათით ადრე. მისი მაჯისცემა წუთში 70-75 იყო. გაფრენისათვის მზადების მთელ პერიოდში და რაკეტის სტარტის შემდეგ. იგი იხუჭნიდა და თავისი მხე განწყობილებით განამტკიცებდა გაფრენის წარმატების რწმენას.

როცა იცნობეს, რომ გაიცა ბრძანება რაკეტის ძრავების ამუშავების შესახებ, მან მხიარულად შესძახა: „ამა, გავწიოთ!“.

ორბიტაზე ხომალდის გაყვანის პროცესში, როცა მუშაობდნენ მძლავრი რაკეტული ძრავები და კოსმონავტი განიცდიდა გადატვირთვას, ვიბრაციისა და ხმაურის ზემოქმედებას, ფრენის ამ დაძაბულ პერიოდშიც კი კოსმონავტი იური ალექსის-ძე გაგარინი განუწყვეტლივ გაზავიდა ყოველივე საჭირის არა მარტო თავისი განწყობილების შესახებ, არამედ ხომალდის კაბინის სისტემების მუშაობის შესახებაც. ატმოსფეროს მკვრივი ფენების გავლის შემდეგ, როცა კოსმონავტმა დედამიწა დაინახა, გადმოსცა „რა სილამაზეა!“.

შემდეგ ფრენის დროს იური ალექსის-ძეს განუწყვეტლივ ჰქონდა კავშირი დედამიწასთან. 9 საათსა და 52 წუთზე, როცა სამხრეთ ამერიკას გადაუფრინა, მან გვაცნობა: „ფრენა მიმდინარეობს ნორმალურად. თავს კარგად ვგრძნობ“. 10 საათსა და 15 წუთზე, აფრიკას რომ გადაუფრინა, იური ალექსის-ძემ გადმოგვცა: „უწონობას მდგომარეობა კარგად ვიტან“.

10 საათსა და 25 წუთზე ჩართულ იქნა კოსმოსური ხომალდის სამუხრუჭო ძრავის დანადგარი, და ხომალდი კოსმონავტ მფრინავ მაორო გაგარინთან ერთად ორბიტიდან დაბლა წამოვიდა დასახულ რაიონში დასაშვებად. 10 საათსა და 55 წუთზე საბჭოთა ხომალდი „აღმოსავლეთი“ მშვიდობით დაეშვა დედამიწაზე.

ამრიგად, მოხდა დიადი საგმირო საქმე, კაცობრიობის ცივილიზაციის ისტორიაში ახალი ბრწყინვალე ფურცელი ჩაიწერა. ეს არის გმირობა საბჭოთა ხალხისა, რომელსაც ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ხელმძღვანელობენ.

ამერიდან 1961 წლის 12 აპრილი მარად დაკავშირებული იქნება გმირობასთან, რომელიც იური ალექსის-ძე გაგარინმა ჩაიდინა.

კაცობრიობის კულტურას გრძელი, ზღაპრულად საოცარი ისტორია აქვს. ყოველი მისი გმირობა, იქნება ეს დამწერლობის პირველი ნაშრომის შექმნა, თუ პირველი ორთქლის მანქანების შექმნა, ან პირველი მოგზაურობა დედამიწის ირგვლივ. — ყოველივე ეს ასი თაობიდან, როცა კაცობრიობა ახალ საფეხურზე ადიოდა, ამკვიდრებდა პროგრესისა და შემოქმედების ძალას. ეს საგმირო საქმენი ყოველთვის ერთბაშად როდი მკვიდრდებოდა შეგნებაში, მომდინარეობდა გაფთრებული ბრძოლა ძველის ახალთან და რაც უფრო რევოლუციური იყო მოვლენა, რომელიც გზას კაფავდა მომავლისაკენ, მით უფრო მწვავე წინააღმდეგობას უწევდა მას წარსული.

მეოცე საუკუნის ზღურბლზე გენიალურმა ციოლკოვსკიმ, რომელიც მაშინ არავინ არ აღიარა, პირველად უჩვენა კაცობრობას გზა ვარსკვლავებისაკენ. მისმა ნაშრომებმა მეცნიერული საფუძვლები ჩაუყარა კოსმონავტიკას, მეცნიერებას, რომლის ერთ-ერთ ბრწყინვალე ტროფეზს დღეს ადღესასწაულ.

ახლა კონსტანტინე ედუარდის-ძე ციოლკოვსკის სიტყვები: „დედამიწა გონებას აკვანია, მაგრამ არ შეიძლება მარად ვიცხოვროთ აკვანში“.

იური ალექსის-ძე გაგარინმა, პირველმა კოსმონავტმა მფრინავმა, მომზადების დიდი და დაძაბული გზა განვლო. ეს იყო მომზადების უჩვეულო სისტემა, ღრმად მეცნიერული სისტემა, რომელიც კოსმონავტ მფრინავს აძლევდა საჭირო ტექნიკურ ცოდნას, რაც დაკავშირებული იყო ხომალდისა და მისი სისტემების მოწყობილობასთან, ცოდნას ასტრონომიის, გეოფიზიკის, ბიოლოგიისა და სხვა მეცნიერებათა დარგში.

კოსმონავტი მფრინავი გადიოდა გადატვირთვის გამოცდას სპეციალურ მანქანა-ცენტრიფუგებში, ვიბროსტენდებზე, ღლეებისა და კვირეების განმავლობაში გრძელდებოდა გამოცდა ხშულ კაბინებში, რომლებიც კოსმოსური ხომალდის კაბინის სრულ ანალოგიას წარმოადგენდნენ. მუშავდებოდა ედამიწაზე დაშვების სისტემა. მთელი ეს უზარმაზარი შრომა დამთავრდა ისტორიაში პირველი კოსმოსური გაფრენით.

ძვირფასო იური ალექსის-ძეო!

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სახელით მოგესალმებით თქვენ, შესანიშნავ საბჭოთა ადამიანს, კოსმოსის კოლუმბს. **(ხანგრძლივი ტაში, დარბაზი ფეხზე ამდგარი მიესალმება ი. ა. გაგარინს).**

გაიკლის საუკუნეები, მაგრამ თქვენი სახელი მუდამ მოაგონებს ადამიანებს უდიდეს გმირობას, რომელიც საბჭოთა მეცნიერებმა, კონსტრუქტორებმა და პირადად თქვენ ჩაიდინეთ, განახორციელეთ რა ადამიანის პირველი გაფრენა კოსმოსურ სივრცეში. **(ტაში).** თქვენ მთელ კაცობრიობას უჩვენეთ მამაცობის, გამბედაობისა და გმირობის მაგალითი კაცობრიობის საკეთილდღეოდ!

აკადემიკოსი ა. ნ. ნესმეიანოვი ი. ა. გაგარინს გადასცემს ციოლკოვსკის ოქროს მედალს, რომლითაც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა დაჯილდოვა გმირი ხომალდ „აღმოსავლეთით“ მსოფლიოში პირველი კოსმოსური ფრენის განხორციელებისათვის.

* * *

სიტყვა ეძლევა გმირ კოსმონავტს იური ალექსის-ძე გაგარინს, კორესპონდენტები ფეხზე დგებიან და მხურვალედ მიესალმებიან ადამიანს, რომლის სახელი ლეგენდად იქცა.

ი. ა. გაგარინის გამოსვლა

ძვირფასო ამხანაგებო, პატივცემულო სტუმრებო!

ბევრს ინტერესებს ჩემი ბიოგრაფია. როგორც გაზეთში წავიკითხე, აღმოჩნდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში არასერიოზული ადამიანები, თავად გაგარინების შორეული ნათესავები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მე მათი რაღაც ნათესავი ვარ. მაგრამ შემიძლია მათ ავუხსნა, ისინი სერიოზულად ფიქრობენ, ან ეხუმრებიან. ეს ასეა. ეს ასეა. ეს ასეა

შრომის შთაგონება

1.

ივრის სანაპირო სამაისოდ ემზადება.

ხეხილის ტოტებზე დიდი ხანია კვირტები აფეთქდნენ და ახლა ციგგომბორის ნიავი ფერად-ფერად ყვავილებს აფარფატებს მინდორველად. ტყე ათასფად მოიქარგა.

იყო დრო... იყო და არც ისე დიდი ხნის წინათ, ამ არეშარეში, ამ მიწაზე ათი უღელი ხარი ძლიერ მიათრევდა ღირღიტაგაცვეთილ გუთანს. მღეროდა გუთნისდედა ოროველას — „გადი-გამოდი, გუთანო, ღირღიტავ, ბანი უთხარო". მღეროდა და ამ ღირღიტში აქსოვდა თავის სევდასა და ჭირვარამს.

იყო ასეთი დრო! ჰკითხეთ თლილი ქვით ნაშენ ჩერქეზიშვილების სასახლეს, მანავის თავზე განმარტოებით რომ დგას, ან ჩოლოყაშვილების ციხე-კოშკს, ხაშმის ვენახების ბოლოს რომ ალამართულა, ვის ეკუთვნოდა ეს მიწა-წყალი და ვინ ალბობდა მას ოფლითა და სისხლით, ვის მიჰქონდა ეს ნაოფლარი, ვინ ამაყობდა ამ ნასისხლარით!.. კაცური კაცის ჭირვარამზე მოსთქვამდა მაშინ გუთნისდედური, მოსთქვამდა და ნება-ნება აღვივებდა ხალხის გულში სიმართლისათვის, თავისუფლებისათვის ბრძოლის ნაპერწკალს.

ნახეთ ახლა თუნდაც ივრის ხეობა წელს, ამ გაზაფხულზე. ამდენი გადახნულ-გადაშავებული მინდვრები არ ახსოვს ამ მადლიან მიწას, ამდენი ნატვრისთვალი არასოდეს არ დატრიალებულა ჯეჯილებში. დიდი და პატარა მინდვრად არის გამოსული. ივრის სანაპიროზე დიდი ხანია ფეხი მტკიცედ მოიკიდა მინდვრის დედოფალმა და ახლა მისი კვადრატებით იხატება, იქარგება გადაშავებული, ცვარ-ნამდაპკურებული მადლიანი მიწა.

თებერვალი რომ დადგა, ელვის სისწრაფით მოედო სასახარულო ამბავი მთელ ივრის ხეობას. დედაქალაქიდან კახეთის გზატკეცილზე კოლმეურნეთა სანახავად, მათი ნაამაგარის დასათვალიერებლად ყველაზე სასურველი სტუმარი — **ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი** მოდისო.

— ჩაგვიგლის თუ გაჩერდება ჩვენი მეურნეობის მიწა-წყალზე, ვფიქრობდით ყველა და გულის ფანცქალით გავყურებდით გზატკეცილს, — ამბობს მექანიზატორი შალვა ტეტიაშვილი. ყოველი მანქანის გამოჩენა ძაბავდა ჩვენს ყურადღებას, ერთხელ თვალი რომ მოგვეკრა, თუნდაც მანქანაში, ჩვენთვის დიდი სიხარული იყო. და აი ვნახოთ, სწორედ ეს სასურველი სტუმარი, მისი მანქანა ჩვენ წინ გაჩერდა, კაბინის კარი გაიღო და მანქანიდან ჩამოვიდა თვითონ ნ. ს. ხრუშჩოვი. გაგვიღიმა, მოგვიახლოვდა, ხელი ჩამოგვართვა, მოზღვავებულ ხალხში გაერია და თითქოს ჩვენებური, უბრალო ადამიანი ყოფილიყო, ისე დაგვიწყო საუბარი.

— სიმინდს კვადრატულ-ბუდობრივად ხომ თესავ? — მკითხა, როცა გაიგო სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი ვიყავი.

— არა-მეთქი, — ვუპასუხე, უფრო სწორად, გავაგებინე, რადგან რუსული ენა კარგად არ ვიცი.

— რატომ არ თესავ?

მე ჩემებურად ავუხსენი, რომ იმ სათესი მანქანით, რომელიც ამჟამად გვაქვს, ძნელია კვადრატები მივიღოთ, თანაც სიმინდის მარცვალს ამტვრევს...

დაფიქრდა... მე დავძინე, მწკრივად თესვა ჩვენში მეტ მოსავალს იძლევა-მეთქი. ამხანაგმა ხრუშჩოვმა თავი დააქნია, მაშინ გაეიფიქრე: ალბათ ჩემი შეკამათება არ მოეწონა-მეთქი და ვარჩიე გავჩუმებულიყავი. მაგრამ არა, მან დამიყვავა და კიდევ რამდენიმე შეკითხვა მომცა, ეტყობოდა საოთესმა მანქანამ ძალიან დაინტერესა. ბოლოს გამოგვეშვიდობა. ჩვენ კიდევ დიდხანს შეეყურებდით გზატკეცილს, ვიდექით და გულში დაგუბებულ სიხარულს ვუზიარებდით ერთმანეთს.

მას შემდეგ გავიდა ერთი თვე, და ჩვენმა მეურნეობამ ნ. ს. ხრუშჩოვის ინიციატივით უკრაინიდან მიიღო სიმინდის დასაკლიბრებელი მოწყობილობა. მას მექანიზატორებმა ნ. ს. ხრუშჩოვის საჩუქარი შეკარქვით. გავმართეთ, გავიტანეთ მინდვრად, ავამუშავეთ. ახლა ჩვენი მანქანები ისე კარგად თესავენ და აკეთებენ კვადრატებს, რომ უეჭველია წელს უხვ მოსავალს მივიღებთ.

ასე საუბრობს საგარეჯოს მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი შალვა ტეტიაშვილი და დასძენს: ხვალ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის დაბადების დღეა. ჩემი და მთელი სატრაქტორო ბრიგადის სახელით უკვე გავუგზავნე მისალოცი დეპეშა.

2.

იცოდა ნუნუ კვაჭანტირაძემ, რომ მოსაწონი ნაბიჯი გადადგა შრომის ნათელ გზაზე, მაგრამ ასე თუ დაუფასდებოდა იგი, არ ეგონა.

— დარბაზში სკამზე ვერ ვისვენებდი, — იგონებს ნუნუ. — ვღელავდი, ათჯერ მქონდა წაკითხული ჩემი სიტყვა, კაცმა რომ თქვას იქ ახალი არაფერი იყო. მეწერა მხოლოდ ის, რაც გავაკეთე ფერმაში, მეურნეობაში, მაგრამ მაინც ყველაფერი თითქოს მავიწყდებოდა. ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის თავმჯდომარემ თურმე ჩემი გვარი გამოაცხადა და სიტყვა მომცა, მე არაფერი გამიგია, ამხანაგმა ხელი მკრა და მეუბნება: ადექი, სიტყვა თქვი... როგორ მივედი ტრიბუნასთან, არ მახსოვს, რვეული გადავშალე, დავიწყე კითხვა. ჩემი ხმა რომ გავიგონე, გული მომეცა, მალე ტაშმაც იგრიალა. გამიკვირდა, ასეთი რა ვთქვი-მეთქი. ჩემმა ენებურად ნ. ს. ხრუშჩოვისაკენ მივიხედე, ისიც ტაშს მიკრავდა, იღიმებოდა.

მაშინ ცამეტი ძროხა მყავდა, თვითეულზე ხუთი ათასი კილოგრამი რძე მივიღე. ეს ვთქვი და მომიწონა ნ. ს. ხრუშჩოვმა. თათბირის შემდეგ 25 ძროხა ავიყვანე, პირობა მივეცი ჩვენს ძვირფას სტუმარს წელს ათასი კილოგრამით მეტი რძე მივიღო თვითეულ ძროხაზე. თუ ქალი ვარ, ამ სიტყვას არ გავტეხ, იმ ღიმილს, რომელმაც ტრიბუნაზე ასე ალმაფრთოვანა, არ შევარცხვენ.

მარტო ნუნუ როდი ამბობს ამას მარტო იგი როდი ფიქრობს ასე.

სოფელ მანავში ნ. ს. ხრუშჩოვი ესტუმრა ქართულ ოჯახს, პური გატეხა, კახური ღვინით დალოცა საქართველოს მიწა-წყალი, ქართველი კაცის მართალი მარჯვენა. მისი მასპინძელი იყო მანავის მეევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა გრიგოლ სიმონიშვილი. სუფრაზე ძვირფასი სტუმარი გულთბილად ესაუბრა მანაველ კოლმეურნეებს სოფლის, გლეხკაცის საჭირბოროტო საკითხებზე.

— ის დღე სიცოცხლეზე უფრო ძვირფასია ჩემთვის, — იგონებს მასპინძელი, — თითქოს ასეთი დიდი სახელმწიფოს მეთაური კი არა, უბრალო ადამიანი, ოჯახის დიდი ხნის მეგობარი მსტყვრებოდეს. ყოველშემთხვევისათვის სუფრაზე ქართულად შემზადებული ლობიოც შემოვიტანე, გასინჯა, ძალიან მოეწონა. სთქვა: ლობიო მეტად საჭირო მცენარეა, მას ფართო გასაქანი უნდა მიეცესო.

რამდენი საქმე ჰქონდა, მაგრამ ქართულ ადათს ანგარიში გაუწია, მოილხინა, სტუმრობა არ დაგვამადლა.

3.

აპრილი ძალაში შევიდა. ამწკანდა მინდორ-ველი, ნაირფერად მოიხატა ბაღ-ვენახები, მზემ მთებში გაადნო თოვლი და ყინული, ადიდდნენ მდინარეები. მალე მაისი ვარდყვავილების ტახტრევანზე დაჯდება. ზეიმს ზეიმი შეცვლის. საქართველოს მშრომელები იდღესასწაულებენ მეორმოცე გაზაფხულს. ისინი ამ დიდ ეროვნულ დღესასწაულს ხელხვავიანი შეეგებებიან. მათს ვაქაცობას, სიტყვისაკაცობას, რომლის შესახებ ასე კმაყოფილებით ლაპარაკობდა ნ. ს. ხრუშჩოვი ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე, დაამტკიცებენ გაზაფხულის ნათესები — მწვანე კვადრატები, აბიბინებული ყანები, აყვავებული ვენახები და ბაღები, ქართული ფოლადი და თუჯი, ელმავალი და ავტომობილი, ათასგვარი დაზგები, ქსოვილები, ნაქარგები, სიმღერები და წიგნები.

დიდ ზეიმს ყოველთვის ბევრი და სასურველი სტუმარი ჰყავს. ასე იქნება ჩვენი ეროვნული დღესასწაულის დღესაც. ივრის ხეობა, მისი შუქურები მერი კვაჭანტირაძე, ნინო კეკელაშვილი, შალვა ტეტიაშვილი და სოფლის სხვა წარჩინებული ადამიანები. მრავალ სტუმარს მოელიან. მათი ისე, როგორც მთელი ქართველი ხალხის სურვილია, ამ დიდ ზეიმზე იხილონ ყველაზე საპატიო სტუმარი ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელსაც ასე ახლოს იცნობენ და რომლის მითითებანი შთაგონებენ მათ შემოქმედებითს შრომაში.

ბ. თათარიშვილი.

* * *

სურათზე: ნ. ს. ხრუშჩოვი საგარეჯოს რაიონის მუხროვანის საბჭოთა მეურნეობაში მიესალმება მეცხოველეობის ფერმის მუშას ნინო კეკელაშვილს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ოცნება და სინამდვილე

მიმდინარე წლის 12 აპრილს საბჭოთა მეცნიერებამ ზღვარული ნაბიჯი გადადგა კოსმოსის სივრცის ათვისების გზაზე — წარმატებით განახორციელა თანამგზავრ ხომალდ „აღმოსავლეთით" ადამიანის გაფრენა კოსმოსურ სივრცეში. მოწინავე ადამიანთა მრავალსაუკუნოვანი ოცნება სინამდვილედ იქცა. ეს იყო ლოგიკური შედეგი საუკუნეების მანძილზე კაცობრიობის მიერ გაწეული დაძაბული შრომისა.

მაერში ფრენის საკითხი კაცობრიობას უხსოვარი დროიდან აინტერესებდა. XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთში მცხოვრებმა ცნობილმა ისტორიკოსმა და ეთნოგრაფმა ალექსანდრე სულაკაძემ ფასდაუდებელი ამაგი დასდო მომავ რუსი ხალხის ავიაციის ისტორიას. ჩვენს თაობამდე მოაღწია მისმა ჩანაწერებმა მისი პაპის — ბოგოლეპოვის მოგონების შესახებ, რომლის მიხედვით 1731 წელს ფურვინ კრიაკუტნმ შექმნა პრიმიტიული აეროსტატი და არყის ხეზე მაღლა აფრინდა.

უფრო ადრე გამოჩენილი იტალიელი მხატვარი, ფიზიკოსი და მექანიკოსი ლეონარდო და ვინჩიც წერდა პარაშუტის დამზადების იდეის შესახებ, ხოლო რუს თვითნასწავლ მექანიკოს ივანე პოლზუნოვს ეს იდეა კიდევაც განუხორციელებია.

მსოფლიოში განთქმული დიდი ქიმიკოსი დმიტრი მენდელეევი კარგა ხნის განმავლობაში მუშაობდა მაერნაოსნობის საკითხებზე. მის შრომებს მოპყავ ეუკოვსკის, ვოეიკოვის, კრავჩიჩის, რიკაჩევის, სპიცინის, მოჟაისკისა და სხვათა შრომები.

წინა საუკუნეების ქართული ხელნაწერებიდან ირკვევა, რომ მაერნაოსნობის საკითხებით ქართველებიც ყოფილან დაინტერესებული. ამით უნდა ეხსნას ის გარემოება, რომ 1783 წელს ეოზეფ დ: ეტენ მონგოლფიეთა დაეკვ შარლის აეროსტატით აფრენის ისტორია ერთი წლის შემდეგ უკვე ქართულ ენაზე იყო თარგმნილი და ერეკლე მეორის სამეფოო მაგიდაზე იდო.

1883 წელს დედამიწას მოსწყდა პირველი თვითმფრინავი, რომელიც მხოლოდ ერთი მეტრის სიმაღლეზე აფრინდა. ეს იყო ალექსანდრე მოჟაისკის თვითმფრინავი. ამერიკაში კი პირველად 1903 წელს აფრინდნენ ძმები ვილბურ და ორვილ რაიტები. ამიტომ სრულიადაც არ არის გასაკვირველი, რომ ასეთ ნიადაგზე კვლავ რუსულ მიწაზე წარმოიშვა რაკეტისა და რეაქტიული ხელსაწყოების მოძრაობის თეორია. ეს თეორია ხანგრძლივი მუშაობის შედეგად 1903 წელს გამოქვეყნდა კონსტანტინე ედუარდის-ძე ციოლკოვსკის ავტორობით. მანვე წამოაყენა რეაქტიული თვითმფრინავებით სამყაროს სივრცეების გამოკვლევის იდეა. 1932 წელს კ. ციოლკოვსკი წერდა: „პროპელერიანი თვითმფრინავების შემდეგ უნდა დაიწყოს რეაქტიული თვითმფრინავების ხანა". ეს ბრძნული პროგნოზი საბჭოთა მეცნიერებმა გაამართლეს. არ შემიძლია არ მოვიხსენიო ერთი შესანიშნავი თარიღი. 1957 წლის 17 სექტემბერს საბჭოთა საზოგადოებრიობამ მადლიერების გრძნობით აღნიშნა კ. ე. ციოლკოვსკის დაბადების ასი წლისთავი, ხოლო 17 დღის შემდეგ. 4 ოქტომბერს საბჭოთა მეცნიერებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მუშებმა საბჭოთა მიწიდან გაუშვეს დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი. ამ დღეს კაცობრიობამ პირველი ნაბიჯი შედგა კოსმოსურ სამყაროში. თითქოს ჩვენმა მეცნიერებმა ეს დიდი აღმოჩენა ციოლკოვსკის დაბადების 100 წლისთავს მიუძღვნეს. გავიდა კიდევ ორი წელიწადი და საბჭოთა რაკეტა მთვარის ზედაპირს შეეხო. მას შემდეგ არა ერთი და ორი გამარჯვება იზეიმა საბჭოთა ხალხმა კოსმოსის დაპყრობის გამო. 1961 წლის 12 აპრილს კი თანამგზავრ ხომალდით იური გაგარინის გაფრენამ ჩვენი პლანეტის ყოველი მოქალაქე აღაფრთოვანა და განაცვიფრა.

და თუ კვლავ რუსი და საბჭოთა ხალხის ისტორიას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ საბჭოთა მეცნიერის კ. ე. ციოლკოვსკის იდეა კოსმოსში ადამიანის ფრენის შესახებ სწორედ საბჭოთა მეცნიერებსა და მფრინავებს უნდა განეხორციელებინათ.

ამბ. იური გაგარინის მომდევნო კოსმონავტებს გულწრფელად და დიდი სიხარულით გზა მშვიდობისა ვუსურვოთ კოსმოსში.

დოცენტი ვ. პარაკაძე.

გუშინ მინდვრად



თელავი სოფელ აკურის კოლმეურნეობის „მოწინავის" მექანიზატორმა **ნასყიდა კუპატაძემ** კვადრატულ-ბუდობრივად 14 ჰექტარი სიმინდი დათესა, **ფიდო ბალათრიშვილმა** — 13 ჰექტარი.

სოფელ ართანის კოლმეურნეობამ რაიონში პირველმა შეასრულა სიმინდის თესვის გეგმა. ამ კოლმეურნეობაში სულ დათესილია 130 ჰექტარი სიმინდი.

ყვარელი გეგმით გათვალისწინებული 4.500 ჰექტარიდან სიმინდი დათესილია 2.558 ჰექტარზე. სიმინდის თესვაში დაწინაურდა სოფელ შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ნასყიდა კურდღელაშვილი** ხელმძღვანელობს, ბრიგადამ გეგმით გათვალისწინებული 380 ჰექტარიდან უკვე დათესა 280 ჰექტარი სიმინდი.

ახალსოფლის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მექანიზატორმა **ზაალ სუსიტაშვილმა** მწკრივად 10 ჰექტარის ნაცვლად 18 ჰექტარი სიმინდი დათესა. მექანიზატორმა **ვახტანგ ოსიაშვილმა** ყვარლის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში 10 ჰექტარის ნაცვლად 17 ჰექტარი სიმინდი დათესა.

ლაგოდეხი სოფელ ულიანოვკის ულიანოვის სახელობის კოლმეურნეობაში მექანიზატორმა **ნიკოლოზ ტრუბაკინმა**, მთესავმა **ნიკოლოზ რასლავცოვმა** კვადრატულ-ბუდობრივად დათესეს 18 ჰექტარი სიმინდი ნაცვლად 10 ჰექტარისა.

გორი სოფელ ზეღდულეთის კოლმეურნეობის მექანიზატორმა **იოსებ სამადალაშვილმა** კვადრატულ-ბუდობრივად დათესა 12 ჰექტარი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8 ჰექტარისა.

მსოფლიო უსმენს

მსოფლიო ტაშს უკრავს ინგლისელი ბიგლიერთელი



ი. გაგარინს ამერიკაში იწვევენ

ნიუ-იორკი, 14 აპრილი. (საკ. სანი). როგორც ვაშინგტონიდან ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, კონგრესის ერთ-ერთმა წევრმა დღეს წამოაყენა წინადადება, რომ პრეზიდენტმა კენედიმ შეერთებულ შტატებში მოიწვიოს იური გაგარინი — რუსი, რომელმაც შემოუფრინა დედამიწას. „რატომ არ უნდა მოვაწყოთ ჩვენ მის პატივსაცემად პარადი ნიუ-იორკში"? — იკითხა წარმომადგენელთა პალატის წევრმა ჯეიმს ფულტონმა (რესპუბლიკელი პენსილვანიის შტატისაგან). „იგი ძალიან გაბედული ადამიანია".

სააგენტო აღნიშნავს, რომ ფულტონმა თავისი წინადადება შეიტანა მას შემდეგ, რაც დამთავრდა წარმომადგენელთა პალატის კოსმოსური პრობლემების კომისიის სხდომა, რომელზეც კომისიის წევრები აძლევდნენ კითხვებს რუსების გმირობის შესახებ აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს წარმომადგენელს ჯეიმს უებს და მის მთავარ თანაშემწეს. ფულტონმა განაცხადა, რომ გაგარინის გაფრენა ტრიუმფია არა მარტო რუსეთისათვის, არამედ მთელი კაცობრიობისთვისაც და სთხოვა უებს გადაეცა ეს თხოვნა პრეზიდენტ კენედისთვის. უებმა თქვა, გულდასმით განვიხილავ ფულტონის თხოვნასო.

იუპიტ. სააგენტო იუწყება, რომ საერთაშორისო გამოფენის — „ოცდამეერთე საუკუნის" ორგანიზატორებმა საბჭოთა კოსმონავტ იური გაგარინს ოფიციალურად სთხოვეს ჩავიდეს 1962 წლის აპრილში სიეტლში გამოფენის გახსნაზე.

ინგლისი

ლონდონი, 14 აპრილი. (საკ. სანი). „ხრუშჩოვი მიესალმება კოსმოსის გმირს", — ასეთია სათაური, რომელიც გაზეთ „ევნინგ ნიუსის" მთელ პირველ გვერდზეა გადაჭიმული. ცნობები იმის შესახებ, რომ საზეიმო შეხვედრა გაუმართეს გმირ — კოსმონავტს ი. გაგარინს, ლონდონის დღევანდელი საღამოს გაზეთების მთავარი თემაა. გაზეთები დაწვრილებით აშუქებენ ამღელვებელ შეხვედრას ვნუკოვოს აეროდრომზე და წითელ მოედანზე გამართულ გრანდიოზულ მიტინგს.

გაზეთები აქცენტებენ ნ. ს. ხრუშჩოვისა და ი. გაგარინის სიტყვების შინაარსს. განსაკუთრებით აღნიშნავენ, რომ ი. გაგარინს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირისა და სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის წოდებები.

გაზეთების პირველ გვერდზე დაბეჭდილია ადრეთვე ფოტოსურათები, რომლებზეც აღბეჭდილია პირველი საბჭოთა კოსმონავტი მფრინავის მაიორ ი. გაგარინისა და საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის შეხვედრის ისტორიული მომენტები ვნუკოვოს აეროდრომზე.

ლონდონი, 14 აპრილი. (საკ. სანი). დღეს გაზეთი „დეილი ჰერალდი" „შესანიშნავ ტრიუმფს" უწოდებს ნახტომს ვარსკვლავებისაკენ, რომელიც საბჭოთა კოსმონავტმა განახორციელა. ეს მოღწევა, აღიარებს გაზეთი, შესაძლებელი გახდა სოციალისტური სისტემის მეოხებით. „იური გაგარინის გაფრენის ყველაზე უშუალო დასკვნა, წერს გაზეთი, — ის არის, რომ ეროვნულმა დაგეგმვამ გაამართლა თავისი დანიშნულება".

გაზეთები საკადრისი პასუხით ხვდებიან პროფესიონალ ცილისმწამებლებს, რომლებიც ცდილობენ შეამცირონ საბჭოთა კავშირის მიღწევის მნიშვნელობა. „ეს მოღწევა იმდენად დიდია, — აღიარებს მემარჯვენე გაზეთი „დეილი მეილი" კი, — რომ აბსურდი იქნებოდა გვეცადა მისი შემცირება".

ევროპამ ნახა გმირთან შეხვედრა

პრაღა, 14 აპრილი. (საკ. სანი). დღეს პრაღაში მოსკოვიდან მიღებულია ტელეგადაცემა რეპორტაჟისა პირველი კოსმონავტის ი. ა. გაგარინის შეხვედრის შესახებ. სატელევიზიო გადაცემა მოსკოვიდან აქ პირველად გაიმართა და ხდებოდა ტალინის, ჰელსინკის, სტოკჰოლმის, კოპენჰაგენის, ჰამბურგისა და ბერლინის ტელევიზიების საშუალებით ვარშავაში, პრაღაში...

ლონდონი, 14 აპრილი. (საკ. სანი). მილიონობით ინგლისელმა ტელემაყურებელმა მოსკოვისა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების ტელემაყურებლებთან ერთად ნახეს დღეს მოსკოვის ტელევიზიის აღმაფრთოვანებელი გადაცემა — საზეიმო შეხვედრა ვნუკოვოს აეროდრომზე.

ბი ბი სის ტელევიზიამ მოაწყო ვნუკოვოში გამართულ საზეიმო შეხვედრის რეტრანსლაცია. ასეთი გადაცემა ტელევიზიით უშუალოდ მოსკოვიდან პირველად მოაწყო ინგლისში. რეტრანსლაცია განხორციელდა ტალინის, ჰელსინკის, სტოკჰოლმის, კოპენჰაგენისა და ბრიუსელის ტელევიზიებით. გამოსახულება ეკრანზე სავსებით დამაკმაყოფილებელი იყო.

ჰავანა, 14 აპრილი. (საკ. სანი). საბჭოთა მეცნიერების უდიდესი გმირობა — კოსმოსში ადამიანის გაფრენა კვლავინდებურად იპყრობს მთელი პოლანდიის ყურადღებას. ჰოლანდიის ტელევიზიით ტრანსლირებული იყო ამ მშობელთა მატნგი და დემონსტრაცია მოსკოვის წითელ მოედანზე. ასევე ათასობით ჰოლანდიელმა ტელემაყურებელმა ნახა ტელევიზორების ეკრანებზე მსოფლიოში პირველი საბჭოთა კოსმონავტი იური გაგარინი და მოისმინა საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა.

დასავლეთი გერმანია

ბონი, 14 აპრილი. (საკ. სანი). როგორც კი ი. ა. გაგარინი ჩავიდა დღეს მოსკოვში, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დეპეშათა სააგენტომ და რადიოსადგურებმა დაიწყეს გადაცემა ცნობებისა გმირის საზეიმო შეხვედრის შესახებ. დასს სააგენტოს მოსკოველი კორესპონდენტი დაწვრილებით აღწერს ამ შეხვედრას. დიდი ხნით ადრე, სანამ თვითმფრინავი მოვიდოდა, რომელშიც გაგარინი იყო, იუწყება იგი ვნუკოვოს აეროდრომზე მოსკოვის ქუჩებსა და გზებზე, რომლებიც აეროდრომისაკენ მიდის, შეიკრება ასეული ათასობით ადამიანი, ისინი მკუთარე ოვაციებით მიესალმნენ დედაქალაქში ჩასულ პირველ საბჭოთა კოსმონავტს.

დასს სააგენტო იუწყება, რომ გაგარინს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. სააგენტო მთლიანად აქვეყნებს ი. ა. გაგარინის პატაკს, რომელიც მან აეროდრომზე მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს, აგრეთვე მოჰყავს შინაარსი ამბანაგების ნ. ს. ხრუშჩოვისა და ი. ა. გაგარინის გამოსვლებისა წითელ მოედანზე, გამართულ საზეიმო მიტინგზე. სააგენტო ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა მთავრობის მეთაურმა კვლავ დაუჭირა მხარი სრულ განიარაღებას და განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის დაწესდეს მტკიცე საერთაშორისო კონტროლი განიარაღებისადმი. სააგენტო ცალკე გამოჰყოფს ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებს, რომ მსოფლიოში არ მოიპოვება ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს გადაახვევინოს საბჭოთა ხალხს კომუნიზმის აშენების გზიდან.

თორმეტი პარტიის ზემდეგ

როგორც მოსალოდნელი იყო დღეს დილით ბოტვინიკმა თამაშიც გაუხანგრძლივა დათმო მატჩ-რევანშის მე-12 პარტია. „თუმცა პოზიცია სიცოცხლით არის სავსე, — განუცხადა მან ჟურნალისტ ვროსმალისტერ შტალბერგს, — მაგრამ მაინც თავს არ შეგაწყენთ". ამან უველაზე დიდი სიამოვნება მოჰგვარა შტალბერგს, რომელიც დღის დიდი მოყვარულია და მთელ თავისუფალ დროს მოსკოვის იპოდრომზე ატარებს.

ამრიგად, თორმეტი პარტიის შემდეგ ანგარიში გახდა 7,5:4,5 ექს-ჩემპიონის სასარგებლოდ. გაგახსენებთ, რომ შარშან ამ დროს ანგარიში იყო 7 : 5 ტალის სასარგებლოდ.

დღეს ბოტვინიკის გულშემატკივრები აცხადებენ, რომ ტალის გამარჯვება ბევრს არაფერს ნიშნავს და ბოტვინიკი აუცილებლად დაიბრუნებს დაკარგულ წოდებას. ტალის მომხრეებს კი მიაჩნიათ, რომ ბოლოსდაბოლოს დადგა გარდატეხა მატჩში.

მატჩის პირველი ნახევრის შედეგი არახელსაყრელია ტალისათვის და დამაკმაყოფილებელია ბოტვინიკისათვის. რასაკვირველია, ტალი შეეცდება მომდევნო პარტიები შემტევი სტილით ჩაატაროს და შეამციროს ქულათა სხვაობა.

ბრძოლამ ისეთ დაძაბულობას მიაღწია, რომ არა მარტო გულშემატკივრები, არამედ სპეციალისტებიც დიდი ინტერესით ეცნობიან პარტიებს. იყო ძალიან საინტერესო შემთხვევა, როდესაც ჩემთან საუბარში ბოტვინიკმაც და ტალმაც ერთი უურნალისტის შესახებ განაცხადეს, თითქოს მას სულით და გულით სურს მეორის გამარჯვება. რაც შეეხება გულშემატკივრებს, ისინი ხშირად სწამებენ მიმომხილველებს მიკერძოებას, თუმცა ვინ არის მართალი, ეს მხოლოდ დასკვნით ტურებში გამოირკვევა.

მორიგი მე-13 პარტია გაიმართება ორშაბათს, 17 აპრილს.

ლ. აბრამოვი,
ოსტატი.

ნ. გაფრინდაშვილი საქართველოს ჩემპიონია

თბილისი რესპუბლიკურ საჭადრაკო კლუბში თითქმის ერთ თვეს გრძელდებოდა საქართველოს ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის ფინალური ასპარეზობა.

14 აპრილს გაიმართა უკანასკნელი ტური, რომელსაც ჩემპიონთან ერთად უნდა გამოეკვლინებინა სსრ კავშირის პირველობის გათამაშების ნახევარფინალის მონაწილენიც.

გათამაშების ლიდერმა ოსტატმა ნ. გაფრინდაშვილმა დაამარცხა ნ. დიატლოვა. ქ. გოგიავამ მოუგო ი. გედეონიძეს, ნ. ხუციშვილმა — ვ. ტატარინოვას, ა. ჩაიკოვსკაიამ — დ. ლონტს, ლ. ნაჭყებიამ — ზ. კალანდარიშვილს, ნ. ფანქველაშვილი — ნ. მანველოვას, ს. ივანოვა — გ. ბუცხრიკიძისა და ო. შათირიშვილი — მ. ნამორაძის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

ამრიგად, საქართველოს 1961 წლის ჩემპიონი ჭადრაკში ქალთა შორის გახდა ნ. გაფრინდაშვილი, რომელმაც 13 შესაძლებლიდან 14 ქულა შეაგროვა, მეორე ადგილზე გამოვიდა ა. ჩაიკოვსკაია (13,5 ქულა), მესამეზე — ნ. ხუციშვილი (11 ქულა), მეოთხეზე — ნ. მანველოვა (10,5 ქულა). მეხუთე და მეექვსე ადგილები ცხრანახევარ-ცხრანახევარი ქულით გაიყვეს ქ. გოგიავამ და ს. ივანოვამ.

ამ ჩემპიონატიდან სსრ კავშირის ნახევარფინალში გარდა ნ. გაფრინდაშვილისა მონაწილეობას მიიღებენ ა. ჩაიკოვსკაია და ნ. ხუციშვილი.

მოლაპარაკება ვაშინგტონში



ვაშინგტონი, 14 აპრილი. (საკ. სანი). ვაშინგტონში დამთავრდა მოლაპარაკება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ კენედისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერ ადენაუერს შორის. კომენიკეში, რომელიც გუშინ წაიკითხა პრეზიდენტმა კენედიმ ადენაუერთან თეთრ სახლში დასკვნითი შეხვედრის შემდეგ, ნათქვამია, რომ „პრეზიდენტმა და კანცლერმა აზრი გაუზიარეს ერთმანეთს მთელ რიგ საკითხებზე, რომლებიც საინტერესოა ორი ქვეყნის მთავრობებისათვის".

როგორც აღნიშნულია კომუნიკეში, მოლაპარაკების მონაწილეებმა განიხილეს შემდეგი პრობლემები: დანაწილებული გერმანიის, მასთან ბერლინის, პრობლემა; ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ ამჟამად მიმდინარე მოლაპარაკება; პოლიტიკური და სამხედრო მოგალნები, რომლებიც ნატოს ეხება; დახმარება იმ ქვეყნებისადმი, რომლებიც ვითარდებიან; ევროპის ეკონომიური თანამშრომლობა; აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობა; მდგომარეობა საერთაშორისო პოლიტიკის ზოგიერთ დიდნაწილ ადგილებში.

ბრეზიდენტი და კანცლერი აცხადებენ, რომ „მხოლოდ თვითგამორკვევის პრინციპის გამოყენებას შეუძლია უზრუნველყოს გერმანიის, მასთან ბერლინის, პრობლემის სამართლიანი და საიმედო გადაჭრა". ისინი კვლავ აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი „შეუნარჩუნონ თავისუფლება დასავლეთ ბერლინის მოსახლეობას გერმანიის გერთიანებამდე".

თუმცა კომუნიკეში ნათქვამია, რომ გონივრულია ღონისძიებანი, რომელთა მიზანია შეაჩერონ შეიარაღების ზრდა, და რომ „მიზანს წარმოადგენს საყოველთაო და სრული მშვიდობა", მაგრამ კომუნიკეში მთავარი ყურადღება ექცევა იმას, რომ საკრიოა ნატოს შემდგომი განმტკიცება და შეიარაღების გაფიდეა.

„პრეზიდენტმა და კანცლერმა დაადასტურეს, — აღნიშნულია კომუნიკეში, — რომ ისინი კვლავ უპირველ მზარს ნატოს როგორც ჩრდილოეთ ატლანტიკის რაიონის საერთო თავდაცვის ქვაკუთხედს. ორივე მხარემ ხაზი გაუსვა, რომ მთი მთავარობები დარწმუნებული არიან, რომ საჭიროა კავშირი ყველა სამხედრო საშუალების შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარებისათვის".

კოსმოდრომი

ИЗВЕСТИЯ

15 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1961 წლის 12 აპრილი



1961 წლის 12 აპრილის დილას 9-ზე ჩვეულებრივი პუნქტუალობით ამოვიდა. მისი სხივები ძლივს ატანდა მყუდრო ოთახის თხელ ფარდებში. აქ საწოლზე მშვიდად ეძინა ადამიანს, რომლის სახელი რამდენიმე საათის შემდეგ მთელი მსოფლიოსათვის გახდა ცნობილი. ექიმმა ოთახში შეიხედა.

— სძინავს.

გარშემო ყველა ღელავდა: ექიმები, ინჟინრები, მეცნიერები... და მხოლოდ ამ ადამიანს, რომელსაც რამდენიმე წუთის შემდეგ უნდა დაეტოვებინა დედამიწა და კაცობრიობის ისტორიაში პირველად გაფრენილიყო კოსმოსურ სივრცეში, მშვიდად ეძინა. წინა საღამოს, გათვალისწინებული რეჟიმის თანახმად, ექიმებმა უთხრეს იური გაგარინს ლოგინში ჩაწოლილიყო და ათ საათს სძინებოდა. იგი დაწვა, და გარშემო ყველას გაუკვირდა, რა მალე დაიძინაო. თითქოს იგი ხვალ უნდა წასულიყო არა კოსმოსში, არამედ თევზის საჭერად ან კალათბურთის მატჩზე ამხანაგებთან.

მყუდრო ოთახში ექიმი შევიდა.

— ადგომის დროა, იურა!

ადამიანმა თვალები გაახილა და გაიღიმა. მას კარგად გამოეძინა, მხნედ და მხიარულ გუნებაზე იყო. კოსმონავტი საწოლიდან წამოხტა და ჩვეულებრივი დილის სპორტული ვარჯიში შეასრულა.

მოვიდნენ თეთრხალათიანი ადამიანები და ჩაცმაში დახმარება დაუწყეს.

იოლი საქმე როდია კოსმოსში მოგზაურის რთული აბჯარი ჩაიცვა. მეცნიერთა მახვილმა გონებამ, ოსტატთა მზრუნველმა ხელებმა მოუმზადეს იურის მისი არაჩვეულებრივი ჩაცმულობა. მათ გათვალისწინეს, რომ იგი თბილად და მოხერხებულად მჯდარიყო, რომ მისი სხეული საიმედოდ ყოფილიყო დაცული ყოველი ზეგავლენისაგან საპლანეტათშორისო სივრცეში.

თეთრხალათიანმა ადამიანებმა შეამოწმეს თვითეული საკინძი, მოარგეს სკაფანდრი.

ზემო სურათზე თქვენ ხედავთ იური გაგარინს, როცა იგი თითქმის უკვე მზად არის გამოსასვლელად. ერთხელ კიდევ ამოწმებენ მისი ჩაცმულობის ყველა დეტალს.





მზადება დამთავრებულია.

და აი კოსმონავტი ავტობუსშია. ამხანაგებთან ერთად იური გაგარინი მიდის ავტობუსით კოსმოდრომზე გიგანტური საპლანეტათშორისო ხომალდისაკენ. (**სურათი მეორე**).

დღეს ჩვენს ყოფაცხოვრებაში, ხალხის ლექსიკონში შედის ახალი ცნება — კოსმოდრომი. კოსმოდრომი არის ვრცელი მეურნეობა, რთული ნაგებობა, რომელსაც კვალიფიციური პერსონალი უწევს მომსახურებას. აქ გასაშვებად ამზადებენ კოსმოსურ ხომალდებს, აქედან ადიან ისინი ცაში, ვარსკვლავთა სამყაროში. მთელი ეს საიმედოდ გამართული მოწყობილობა შექმნილია საბჭოთა მეცნიერების, ინჟინრების, მუშების, ჩვენი სოციალისტური მრეწველობის მიერ.

საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითმა გენიამ, დიდმა ოსტატობამ და უნარმა უზრუნველყო წარმატებითი გაშვება საბჭოთა ხომალდ „აღმოსავლეთისა", რომელშიც პირველი კოსმონავტი იყო.

გიგანტურ კოსმოსურ ხომალდთან უკვე მოუყრიათ თავი ინჟინრებს, მეცნიერებს, მუშებს. ბევრ მათგანს იური გაგარინი დიდი ხანია იცნობს. უკანასკნელად ულოცავენ მას გზას, ეხვევიან, ჰკოცნიან...

კოსმოდრომის მუშაკების, ინჟინრების, ტექნიკოსების, მუშების, მეცნიერების ერთსულოვანი კოლექტივი პირველად როდი გზავნის თავისი სასტარტო მოედნიდან გიგანტურ ხომალდებს კოსმოსში, მაგრამ ეს დღე განსაკუთრებულია. დღეს პირველად უნდა გაფრინდეს ადამიანი.

სპეციალისტებმა გულმოდგინედ შეამოწმეს ხომალდის აგრეგატები. ისინი დარწმუნდნენ, რომ რთული აპარატურა უნაკლოდ მუშაობს.

ყველაფერი მზად არის სტარტისათვის! იური გაგარინი შედის ამწე ლიფტში, რომელიც მას ახლა აიყვანს კოლოსალური რაკეტის წვეროზე, სადაც კოსმონავტის კაბინაა. (**სურათი ცენტრში**).

იური მხიარულად და მხნედ არის. იგი ეხუმრება ამხანაგებს, ხელს ართმევს მათ, ისმენს გზის დალოცვას და გამარჯვების სურვილებს.

ლიფტს იური გაგარინი მიწიდან მაღლა აჰყავს. იქითკენ მიუპყრია თვალი ყველას, ვინც ამ დიდებული ხომალდის გარშემო დგას. დედამიწაზე ვინც რჩება, ისინი მისალმებას უგზავნიან კოსმონავტს:

— გზა მშვიდობისა!

— ბედნიერად დაბრუნდი დედამიწაზე!

ძნელია იმ ადამიანთა მღელვარების გადმოცემა, რომლებიც ამ ისტორიულ წუთებში კოსმოდრომზე იყვნენ და ეხწრებოდნენ საბჭოთა ადამიანის არაჩვეულებრივ გაცილებას გაფრენისას, რომლითაც იწყება ახალი ეპოქა — კოსმოსური მიმოსვლის ეპოქა.

ლიფტი გაჩერდა. იური გაგარინმა ერთი წამი დაახანა. იგი ხელის ქნევით ერთხელ კიდევ მიესალმა ქვემოთ მდგომ მეგობრებსა და ამხანაგებს და შემდეგ კოსმოსურ ხომალდში შევიდა.

ქვემო სურათზე თქვენ ხედავთ იური გაგარინს კოსმონავტის სრული აღჭურვილობით იმის წინ, სანამ კოსმოსური ხომალდის კაბინაში ჩაჯდებოდეს.

გამოთხოვების უკანასკნელი წუთები. იური გაგარინი ხელს მაღლა სწევს და მიესალმება იმათ, ვინც შექმნა ეს მძლავრი ხომალდი, ვისმა შრომამ, ენერგიამ და გონებამ შესაძლებელი გახადა ფანტასტიკური რეისი ვარსკვლავებისაკენ.

ესენი უბრალო ადამიანები, მაღალი კულტურის, ტექნიკის, პროფესიული სიმამაცის ადამიანები არიან. მათ — საბჭოთა სპეციალისტებმა გაუშვეს რაკეტა ციისფერ სამყაროში, მისცეს მას კოლოსალური სიჩქარე, რამაც შესაძლებელი გახადა მიწის მიზიდულობის დაძლევა და ორბიტაზე გასვლა.

ლოდინის უკანასკნელი წამები გაისმა განკარგულება — და გიგანტური კოსმოსური ხომალდი ცეცხლოვანი ღრუბლიდან ვარსკვლავებისაკენ აიჭრა. რა მოხდა შემდეგ, ეს უკვე მთელმა მსოფლიომ იცის.

ვალ. გოლცევი,
ნ. დრაჩინსკი.



ჩვენი მისამართი და ტელეფონები:

თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 8-63-03, 8-82-06, პასუხისმგებელი მდივნის — 8-72-80. სამდივნოსი — 8-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 8-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 8-57-61, სოფლის მეურნეობის — 8-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 8-80-84, წერილების — 8-78-24, ინფორმაციის — 8-16-90, ილუსტრაციო — 8-20-43, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 8-03-67, განცხადებების მიღების — 8-64-42.

რედაქტორი Დ. მჟედლიშვილი.

ფე 05507

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.